

შპს „მასტერ ჯგუფი“-ს (ს.5401945222)

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

კომპანია შპს „მასტერ ჯგუფი“-ს ძირითად საქმიანობაა საქართველოში საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამაგრი დეტალების, ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით კერძოდ, კატეგორიების მიხედვით:

- საცალო და საბითუმო ვაჭრობა ნაწილებით და სამშენებლო მასალებით
 - საცალო და საბითუმო ვაჭრობა მექანიკური და ელექტრო ხელსაწყოებით.
- კომპანიის პრინციპია მომხმარებელს შევთავაზოთ საუკეთესო კომპლექსური წინადადება ფასის, ხარისხისა და თანმდევი მომსახურების ეფექტური კომბინაციით.

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია შპს „მასტერ ჯგუფი“-ს დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 16 მარტს.

2.2. კომპანიის დამფუძნებელია მინდია ჟიჟილაშვილი - რომელიც ფლობს 100%-იან წილს საწესდებო კაპიტალში.

3. კომპანიის სტრუქტურა:

3.1. კომპანიას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ♦ ადმინისტრაციული განყოფილება სადაც შედის დირექტორი, დირექტორის მოადგილე;
- ♦ ფინანსური განყოფილება;
- ♦ ბუღალტერია;
- ♦ შესყიდვების განყოფილება;
- ♦ საწყობი ;
- ♦ დისტრიბუციით გაყიდვები: პრესეილი-დისტრიბუტორი-სუპერვაიზერი.

კომპანიაში 20 ადამიანია დასაქმებული.

4. ბიზნეს რისკების განხილვა:

კომპანია „მასტერ ჯგუფი“ იმპორტირებას და შემდეგ რეალიზაციას უწევს ორიათასამდე დასახელების პროდუქტს.

„მასტერ ჯგუფი“ ახდენს საკუთარი პროდუქციის დისტრიბუციას კორპორატიული მომხმარებლისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანია აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე უცხოურ მომწოდებლებთანაც.

გარდა ამისა, შპს „მასტერ ჯგუფი“, გახლავთ საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე სამაგრი საშუალებების იმპორტიორი. კომპანია იმპორტირებას და შემდგომში დისტრიბუციას უწევს 2000-მდე დასახელების სხვადასხვა სახეობის სამაგრი დეტალს.

პროდუქციის ძირითადი სახეობებია:

სახურავის გადასახური შურუპები (რკინის, ხის და ფერების მიხედვით);

ხის და რკინის შურუპები (მუყაო თაბაშირის, პროფილების, ავეჯის და ზოგადი ხის);
 ანკერები (კაუჭიანი ანკერები, დასაჭედებელი ანკერები, გასაჭედი ანკერები და სხვა);
 საბურღი და სახეხი საშვალეები;
 სხვადასხვა სახეობის სამეურნეო ხელსაწყოები, პლასტმასის ხამუთები და დუბელები.

5.

მომსახურების მიწოდების დინამიკა:

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის საქმიანობის უკეთ აღქმის მიზნით, ქვემოთ ცხრილში მოცემულია მომსახურების მიწოდების დინამიკა ბოლო 6 წლის განმავლობაში, მათ შორის უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებით:

მომსახურების გაყიდვების მიწოდების ყოველწლიური დინამიკა

პერიოდი	ბრუნვა ეროვნულ ვალუტაში
2024წ	4 572 623
2023წ	4 270 543
2022წ	6 469 949
2021წ	7 196 543
2020 წ	6 401 956
2019წ	5 842 725

6. სოციალური პროექტები:

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას, სხვადასხვა დახმარებებს და თანამშრომელთა წახალისების პროგრამებს.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 10 სექტემბერს.

შპს „მასტერ ჯგუფის“ დირექტორი

მინდია ყიყილაშვილი



შპს „მასტერ ჯგუფი“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 401945222

ფინანსური ანგარიშგება, სააღრიცხვო პოლიტიკა და
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. საქმიანობის შედეგები, შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება.	4
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
4. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.	6
5. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7-8
6. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8-24

შპს „მასტერ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო N401945222)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	12/31/2024	12/31/2023
ფულადი სახსრები	62240	100828
მოძღვრებებზე გადახდილი ავანსი	43587	47747
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1076726	589905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	926157	735081
სხვა მიმდინარე აქტივი	47663	34723
სულ მიმდინარე აქტივები	2156373	1508284
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	188406	184643
გადავადებული საგადასახადო აქტივი		
სულ გრძელვადიანი აქტივები	188406	184643
სულ აქტივები	2344779	1692927

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	987762	175914
მიღებული ავანსები	3194	7089
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	66597	27111
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2593	2593
სულ მიმდინარე ვალდებულება	1060146	212707
გრძელვადიანი ვალდებულება		
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	316395	534241
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	316395	534241
სულ ვალდებულება	1376541	746948
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	49887	200
გაუნაწილებელი მოგება	918351	945779
სხვა რეზერვები		
სულ კაპიტალი	968238	945979
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	2344779	1692927

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 სექტემბერი.

შპს-ის „მასტერ ჯგუფი“, (საიდენტიფიკაციო N401965222)

დირექტორი

/მიმდია ჟიჟიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

/რუსუდან ლომთაძე/



შპს „მასტერ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო N401945222)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	12/31/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	4,572,623	4,270,543
საქონლის გაყიდვიდან	4,572,623	4,270,543
გაყიდვების თვითღირებულება	-2,839,019	-3,068,899
საერთო მოგება	1,733,604	1,201,644
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1,241,656	-1,416,416
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-63,306	-72,274
საპროცენტო ხარჯი	-51,081	-103,390
იჯარის ხარჯი	-108,633	-98,423
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-241,295	-263,688
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,705,971	-1,954,191
საოპერაციო მოგება	27,633	-752,547
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-7316
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-68583
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-55061	-51,228
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაც	-27,428	-879,674
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-27,428	-879,674
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასები		0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონებ		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-27,428	-879,674
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	945,979	1949231
შპს-ში 'კაპიტალის გაზრდა'	49687	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-123578
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	968,238	945,979

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 სექტემბერი.

შპს-ის „მასტერ ჯგუფი,“ (საიდენტიფიკაციო N401965222)

დირექტორი



/მიმდია ჟიჟიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი



/რუსუდან ლომთაძე/



შპს „მასტერ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო N401945222)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,121,202	4,902,632
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	1,585	3,092
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	5,122,787	4,905,724
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,580,371)	(1,779,168)
შრომის ანაზღაურება	(976,356)	(1,164,911)
მივლინება	(23,593)	(24,071)
გადახდილი გადასახადები	(1,018,759)	(983,356)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(239,712)	(251,591)
შეცდომით ჩარიცხული თანხის დაბრუნება	(23,227)	(9,862)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	260,770	692,765

საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	12,046	50,683
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	12,046	50,683
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(76,365)	(65,256)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(64,319)	(14,573)

საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	410,128	350,000
კაპიტალის გაზრდა	62,687	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	472,816	350,000
დივიდენდების გადახდა	-	(117,400)
სესხის ძირის გადახდა	(631,139)	(783,229)
სესხისპროცენტის გადახდა	(49,204)	(103,390)
კაპიტალის შემცირება	(13,000)	-
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(9,112)	(11,150)
სხვა ფინანსური ხარჯები	-	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(229,640.01)	(665,168.14)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(33,189)	13,024
სავალუტო კურსის ეფექტი	(5,399)	(3,959)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	100,827	91,762
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	62,240	100,827

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 სექტემბერს:

შპს-ის „მასტერ ჯგუფი“, (საიდენტიფიკაციო N401965222)

დირექტორი



/მიმდია ჟიჟიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



/რუსუდან ლომთაძე



**შპს „მასტერ ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო N401945222)
2024 წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება**

შინაარსი	კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის მოგება / (ზარალი)	200		1,949,032 -879,674		1,949,232 (879,674)
დივიდენდის გამოცხადება			-123,579		(123,579)
კაპიტალის სხვა ცვლილებები.					-
ნაშთი 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის მოგება / (ზარალი)	200	0	945,779 -27,428	0	945,979 (27,428)
დივიდენდის გამოცხადება					-
კაპიტალის სხვა ცვლილებები.	49,687				49,687
ნაშთი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	49,887	0	918,351	0	968,238

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 სექტემბერი.
შპს-ის „მასტერ ჯგუფი“, (საიდენტიფიკაციო N401965222)

დირექტორი



/მიმდია ჟიჟიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი



/რუსუდან ლომთაძე/



ზოგადი ინფორმაცია.

შპს „მასტერ ჯგუფი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად 2010 წლის 16 მარტს.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდმის მასივი, ნაკვეთი # 1

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, რაფიელ აგლადის #15, სავაჭრო ცენტრი „მეგალიანი“, მაღაზია #9

საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 401945222

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამაგრი ნაწილებით და სამშენებლო მასალებით.
- საცალო და საბითუმო ვაჭრობა მექანიკური და ელექტრო ხელსაწყოებით.
- აგრეთვე სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

კომპანია 2024 წლის მონაცემების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

საანგარიშგებო პერიოდში შეზღუდული საზოგადოების პარტნიორები და წილი:

- | | | |
|---------------------|-------------|------|
| • მინდია ჟიჟიაშვილი | 01004001004 | 100% |
|---------------------|-------------|------|

შეზღუდული საზოგადოების დირექტორი: მინდია ჟიჟიაშვილი, პ/ნ. 01004001004
საწესდებო კაპიტალი შეადგენს 49 887 ლარს .

შპს „მასტერ ჯგუფი“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401945222

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი .

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება. საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარს და სრულდება 2024 წლის 31 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების ციფრულ ფორმებში მოცემული თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შეფასების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მიმდინარე გეგმები.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი.

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად 2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის მიხედვით. კომპანიამ პირველად წარადგინა ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის მონაცემებით მსს ფასს-ის შესაბამისად.

საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის - 2024 წლის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა - „ფინანს-ს“ გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღრიცხება ნარჩენი საბალანსო ღირებულებით;
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით; ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფის დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
- შენობა-ნაგებობები	50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები	10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	10 წელი
- ავეჯი	20 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას, ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

შენიშვნა 1

დასახელება	2024წ	2023 წ.
მანქანა-დანადგარები	4239	4 853
ოფისის აღჭურვილობა	2 408	8 401
ავეჯი და კომპიუტერები	7 853	7 475
სატრანსპორტო საშუალებები	122 388	95 921
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	51 518	67 992
სულ ძირითადი საშუალებები:	188 406	184 642

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.* ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, განბაჟებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ, სხვა არადაბრუნებად გადასახადებს.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღირიცხება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება Fifo მეთოდით.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათით. იგი აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ბარათი ანგარიშვალდებულ პირზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით.
- ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავი ჩამოიწერება განვლილი კილომეტრაჟის მიხედვით.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მცირეფასიანი ინვენტარი, სამუშაო იარაღები, ინსტრუმენტები და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები, წერაქვი, ლომი, ბარი, ნიჩაბი, ურო, ბალგარკის ქვები და სხვა) აღირიცხება მარაგებში და აისახება ბალანსის სხვა აქტივებში.

- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, დისკები, ეკრანის და კლავიატურის საწმენდი საშუალებები და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.
- მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად, არ აისახება მარაგებში და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება სხვა სამეურნეო ხარჯებს.

მარაგი

შენიშვნა 2

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
საქონელი	1 076 276	589 905
მზა პროდუქცია	-	-
სხვა მარაგი	-	-
სულ მარაგი:	1 076 276	589 905

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ.

დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები:

შენიშვნა 3

	2024 წ.	2023 წ.
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19 181	15 101
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43 059	35 300
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	50 427
სულ:	62 240	100 828

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვა

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო

ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო

უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	926 157	735 081
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	43 587	47 747
სხვა მიმდინარე აქტივები -		
- (იმპორტის დღგ-ს ზედმეტობა)	47 663	34 723
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები:	1 017 407	817 551

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

შენიშვნა 5

	2024 წ.	2023 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	984 605	171 518
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3 157	4 396
ანარიცხები	3 194	7 089
მიღებული ავანსები	2 593	2 593
გადასახდელი ხელფასები	66 597	27 111
სულ :	1 060 146	212 707

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კომპანიას აქვს გრძელვადიანი სესხი. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსი შეადგენს:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:		
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წ. 31 დეკემბერი:	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2024 წ. 31 დეკემბერი:	2.8068	2.9306

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის

განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.
- საზოგადოების კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით, და ცვლილებების შემდეგ შეადგენს 49 887(ორასი) ლარს.
- პარტნიორთა კრებაზე ფინანსური ანგარიშგების განხილვის დროს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება წმინდა მოგების განაწილება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და სხვა ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

შემოსავლების/ვალდებულებების აღრიცხვა:

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

შენიშვნა 6

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
საქონლის გაყიდვიდან	4 572 623	4 270 543
სულ ამონაგები:	4 572 623	4 270 543

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხელფასის ხარჯი კი აღიარდება საკასო მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის მეთოდი - კლასიფიკაცია ხორციელდება ფუნქციური დანიშნულებით.

მივლინების ხარჯების აღრიცხვა

- ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან წარმოებს კორპორატიული ბარათებით ან სალაროდან ნაღდი ანგარიშსწორებით;
- საავანსო ანგარიშების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2-3 თვეში ერთხელ, დამოკიდებულია სამუშაოების ხანგრძლივობაზე;
- სადღეღამისო თანხა გადაირიცხება ინვოისის საფუძველზე იმ სასტუმროებში ან სასტუმროს არ არსებობის შემთხვევაში იმ ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე;
- ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხები იბეგრება გაცემის წყაროსთან.
- საერთაშორისო მივლინება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

წარმომადგენლობითი ხარჯები

- წარმომადგენლობით ხარჯებს მიეკუთვნება ის საქმიანი შეხვედრები, პრეზენტაციები, კორპორატიული საღამოები, სადაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა და ემსახურება საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობას.
- წარმომადგენლობითი ხარჯებს მიეკუთვნება ჩაი, ყავა, შაქარი და სხვა.

გაყიდვების თვითღირებულება

შენიშვნა 7

	2024 წ.	2023 წ.
ძირითადი მასალის დანახარჯები	2 839 019	3 068 899

ადმინისტრაციული

ხარჯები

შენიშვნა 8

	2024 წ.	2023 წ.
კომუნალური ხარჯი	3 242	2 731
საწვავის ხარჯი	91 706	98 623
რემონტი	1 640	125
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	41 293	38 903
ავტოტრანსპორტი და ქონების დაზღვევა	12 958	13 931
საბანკო ხარჯები	9 112	11 150
საკონსულტაციო ხარჯი	-	1 790
ქონების და მიწის გადასახადი	3 158	3 201
კომპიუტერის ხარჯი	3 158	615
მივლინების ხარჯი	34 672	33 600
რეკლამის ხარჯი	2 421	10 083
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	4 023	8 589
სოციალური დანარიცხები	22 851	26 475
კომუნიკაციის ხარჯი	11 061	13 872
სულ	241 295	263 688

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

	2024 წ.	2023 წ.
შრომის ანაზღაურება მთლიანად	598 457	479 721

მოგების გადასახადი

- კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება “ესტონური მოდელი“-თ. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და განაცემებს.

საგადასახადო ვალდებულებები საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საგადასახადო დეკლარაციებში ასახული თანხით.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობას. ამ ანალიზში მენეჯმენტმა განიხილა ყველა რისკი, მათ შორის ლიკვიდურობის, სავალუტო რისკების და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის საქმიანობა საფრთხეს არ ემუქრება და მათ არ აქვთ გეგმები კომპანიის ლიკვიდაციისთვის ან მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვისთვის.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია 2025 წლის 10 სექტემბერს და ნებადართულია გამოსაცემად.

დირექტორი:



/მინდია ჟიჟიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი:



/ რუსუდან ლომთაძე/

